დამტკიცებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ
მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო
საკოორდინაციო საბჭოს მიერ

19 დეკემბერი, 2017

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე (სასაზღვრო გამტარი და საბაჟო გამშვები პუნქტები, სახმელეთო და სანაპირო საზღვარი) მომუშავე პერსონალისთვის

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის სახეა, რომელიც თავისი ხასიათით წარმოადგენს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევას. 2003 წლიდან ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) დასჯადი ქმედებაა, რომელიც რეგულირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 143^1-ე (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)), 143^2-ე (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) და 143^3-ე (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა) მუხლებით. 2006 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა, ასევე, საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

2006 წლიდან საქართველო არის „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის დამატებითი ოქმის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ და „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის ხელშემკვრელი მხარე.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია, რომლის მსხვერპლის გამოვლენა პრაქტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ვინაიდან ხშირად ტრეფიკინგის დანაშაულს ახასიათებს საზღვრის კვეთა, როგორც წესი, პირველი კონტაქტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლთან (შემდგომში – სავარაუდო მსხვერპლი) აქვთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს, ასევე, სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლებს. მესაზღვრეები, მესაზღვრე-კონტროლიორები და, ასევე, საბაჟო გამშვებ პუნქტზე მომუშავე თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან, შეამოწმონ შესაბამისად ფიზიკური პირები და სატრანსპორტო საშუალებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა პროაქტიული გამოვლენა და საქართველოს საზღვარზევე ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიცირება და დახმარება.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია იმ ინდიკატორების და სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც დაეხმარებათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მომუშავე პერსონალს, დროულად და ეფექტიანად მოახდინონ ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა

იდენტიფიცირება და მათი დახმარების მიზნით ეროვნულ რეფერალურ მექანიზმში ეფექტიანი ჩართვა.

1. **რა არის ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)**

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შეიძლება განხორციელდეს როგორც მსხვერპლის საზღვარგარეთ გაყვანით (თუნდაც რამდენიმე სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთით), ისე ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, საზღვრის კვეთის გარეშე.

შემთხვევა ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგად) დაკვალიფიცირდება თუ სახეზე გვაქვს, შემდეგი სამი ელემენტი: ქმედება, საშუალება და მიზანი.

ქმედება გულისხმობს:

- ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას;
- ადამიანის გადაბირებას;
- გადაყვანას;
- გადამალვას;
- დაქირავებას;
- ტრანსპორტირებას;
- გადაცემას;
- შეფარებას;
- მიღებას.

საშუალება შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

- მუქარა;
- ძალადობა ან იძულების სხვა ფორმა;
- მოტაცება;
- შანტაჟი;
- თაღლითობა;
- მოტყუება;
- უმწეო მდგომარეობის გამოყენება;
- ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.

მიზანი :

ექსპლუატაცია

აღსანიშნავია, რომ ადამიანის ყიდვა, გაყიდვა ან სხვა უკანონო გარიგების განხორციელება თავის მხრივ უკვე დამთავრებული დანაშაულია და არ საჭიროებს ექსპლუატაციის მიზნის არსებობას. ამასთან, არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ქმედების ტრეფიკინგად დასაკვალიფიცირებლად საკმარისია მხოლოდ ქმედებისა და მიზნის არსებობა, საშუალების გარეშე.

ექსპლუატაცია, თავის მხრივ წარმოადგენს სარგებლის მიღების მიზნით (იგულისხმება როგორც მატერიალური, ისე სხვა სახის სარგებელი) ადამიანის გამოყენებას და გამოხატულია სხვადასხვა ქმედებებით. პირის ექსპლუატაციის დასადგენად საკმარისია არსებობდეს შემდეგი გარემოებებიდან თუნდაც ერთი:

- შრომის ან მომსახურების იძულებით გაწევა;
- დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა;
- სექსუალური მომსახურების იძულებით გაწევა;
- სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ანდა მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარი გამოყენება;
- მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება.

ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც პირი ანაზღაურებით ან არაადეკვატური ანაზღაურებით ან მის გარეშე სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა სხვა სახის მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირზე დამოკიდებულების გამო.

„ტრეფიკიორზე“ დამოკიდებულება შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა გარემოებით, მაგალითად:

- პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ჩამორთმევით, გაკონტროლებით ან განზრახ ხელყოფით. ჩამორთმევა გულისხმობს საიდენტიფიკაციო დოკუმენტის პირის მფლობელობიდან გასვლას. გაკონტროლების დროს პირი ფლობს საიდენტიფიკაციო დოკუმენტს, მაგრამ შეზღუდულია მის გამოყენებაში (სხვისი ზედამხედველობის ან თანხმობის გარეშე ვერ იყენებს). საიდენტიფიკაციო დოკუმენტის განზრახ ხელყოფის დროს პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი განადგურებულია ან დაზიანების შედეგად არის გამოყენებისთვის გამოუსადეგარი.
- თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვით ან/და კონტროლით. თავისუფლად გადაადგილების უფლების შეზღუდვა გულისხმობს, როდესაც მსხვერპლს „ტრეფიკიორის“ მიერ ეკრძალება გარკვეულ დროს ან/და ადგილზე გადაადგილება.

გადაადგილების უფლების კონტროლის შემთხვევაში პირს შეუძლია ნებისმიერ დროს და ადგილზე გადაადგილება, თუმცა სხვისი თანდასწრებით ან ზედამხედველობით.

- ოჯახის წევრთან ან სხვა პირთან კომუნიკაციის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტის შეზღუდვით ან/და კონტროლით. კონტაქტის შეზღუდვა გულისხმობს გარკვეულ დროს, თემაზე ან პირებთან კომუნიკაციის აკრძალვას. კონტროლის დროს კომუნიკაცია ხორციელდება „ტრეფიკიორის“ მეთვალყურეობის ქვეშ.
- იძულებითი ან დამაშინებელი გარემოს შექმნით. დამაშინებელი გარემოს დროს პირი უშუალოდ არ განიცდის იძულებას, თუმცა შექმნილი გარემო მას მიანიშნებს გარკვეულ საფრთხეზე, რის გამოც მას უჩნდება შიში.
- სხვა გარემოებით. მაგალითად, პირზე დამოკიდებულების სხვა გარემოება შეიძლება არსებობდეს, როდესაც პირს „ტრეფიკიორის“ მიერ ეზღუდება საკუთარი ფულის (შემოსავლის) განკარგვის შესაძლებლობა, სახელმწიფოში მისი არალეგალურად ყოფნა გამოყენებულია მასზე ზეგავლენის მოსახდენად, სავალო კაბალის დადებისას ან სხვა შემთხვევაში.

სავალო კაბალა შეიძლება იყოს ისეთი მგომარეობა, როდესაც არარსებული ან/და არაადეკვატური ვალის ლიკვიდაციის მიზნით პირი ასრულებს „ტრეფიკიორის“ მიერ განსაზღვრულ მომსახურებას/სამუშაოს, რომლის სანაცვლოდაც მიღებული ანაზღაურება ან/და ვალის პირობები არ იძლევა ამ ვალის დაფარვის შესაძლებლობას.

საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების კუმულაციურ არსებობას (ერთ-ერთის არსებობაც საკმარისია), რათა დადგინდეს პირზე დამოკიდებულება.

აღსანიშნავია, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისთვის მსხვერპლის თანხმობას არ აქვს მნიშვნელობა.

2. ადამიანით ვაჭრობასა და ადამიანის საზღვარზე უკანონო გადაყვანას შორის განსხვავება

უკანონო გადაყვანა გულისხმობს პირის უკანონო შესვლის ხელშეწყობას იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეს ან მუდმივ ბინადარს ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს, ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით.[1]

განსხვავებით ადამიანით ვაჭრობისგან, რომელსაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ნებისმიერ სიტუაციაში, არ აქვს მნიშვნელობა მსხვერპლს გადაიყვანენ სხვა სახელმწიფოში თუ მხოლოდ ერთი ადგილიდან მეორეში, ქვეყნის ფარგლებს შიგნით, უკანონო გადაყვანა აუცილებლად გულისხმობს სახელმწიფოს საზღვრის კვეთას.

[1] მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, *მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი,* გვ. 83

ადამიანის უკანონო გადაყვანის დროს, როგორც წესი, როდესაც პიროვნება მიაღწევს დანიშნულების ადგილამდე, მისი საქმიანი ურთიერთობა შუამავალთან სრულდება, ხოლო ტრეფიკინგის შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლი მიაღწევს საბოლოო დანიშნულების ადგილს, ის ხდება შემდგომი ექსპლუატაციის ობიექტი.

ამასთან, საზღვარზე უკანონო გადამყვანი ცდილობს, ხელი შეუწყოს სხვა პირს საზღვრის არალეგალურ გადაკვეთაში ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მოპოვების მიზნით. ადამიანით მოვაჭრე ცდილობს, გაუწიოს პიროვნებას ექსპლუატაცია და მიიღოს ფინანსური ან სხვა სახის სარგებელი ამ პიროვნების გამოყენებით.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლის ამოსაცნობი ზოგადი ინდიკატორები

- აქვს ყალბი სამგზავრო ან/და საიდენტიფიკაციო დოკუმენტი;
- აქვს დაზიანებული საიდენტიფიკაციო დოკუმენტი;
- ასახელებს მხოლოდ სახელს და არა გვარს;
- იმყოფება თანმხლებ პირთან ერთად, რომელიც მას აკონტროლებს;
- იჩენს მორჩილებას თანმხლები პირის მიმართ;
- თანხმლები პირი საუბრობს ან პასუხობს კითხვებს სავარაუდო მსხვერპლის ნაცვლად;
- პირის/ჯგუფის სამგზავრო დოკუმენტი/დოკუმენტები თავმოყრილია თანმხლები პირის ხელში;
- არის შეშინებული ან აქვს თანხმლები პირის შიში;
- მისი უნარები არ შეესაბამება მის მიერ დასახელებულ სამუშაო აღწერილობას;
- ვერ საუბრობს სამგზავრო დოკუმენტის გამცემი ქვეყნის სახელმწიფო ან იმ ქვეყანაში გავრცელებულ რომელიმე ენაზე;
- მიმართვის შემთხვევაში სავარაუდო მსხვერპლი თავს არიდებს კითხვაზე პასუხის გაცემას ან იძლევა კითხვის შეუსაბამო პასუხს;
- სავარაუდო მსხვერპლი მოქმედებს სხვა პირის მითითებების შესაბამისად;
- ეტყობა, რომ ფლობს სრულ ინფორმაციას მის ხელთ არსებული დოკუმენტების შესახებ, მაგრამ არ/ვერ გადმოსცემს მათ შინაარს;
- არ გააჩნია ნაღდი ფული ან რაიმე სხვა საშუალება (მაგ.: საბანკო ბარათი);
- გადაადგილდება ჯგუფთან ერთად, თუმცა ამბობს, რომ მგზავრობს მარტო.

4. სავარაუდო მსხვერპლისათვის დამახასიათებელი ფიზიკური ინდიკატორები

- აღენიშნება ჭრილობა, დამწვრობა, ძვლოვანი მოტეხილობა;

- აღენიშნება ძლიერი დაღლილობის ნიშნები (შავი რგოლები თვალებს ქვეშ, სხეულის ნელი მოძრაობა);
- აღენიშნება ფიზიკური ზეწოლის ნიშნები (მაგ. ჩალურჯებული ადგილები);
- არის შემოსილი პროსტიტუციით დაკავებული პირისთვის დამახასიათებელი ტანისამოსით ან იქცევა გამომწვევად;
- მისი ტანისამოსი გაცვეთილია ან ჭუჭყიანია, გამოიყურება არაჰიგიენურად;
- გადაადგილებისას ატარებს მცირე რაოდენობის ნივთებს ან აქვს მგზავრობის მიზნის შეუსაბამო ნივთები;
- არ არის ადეკვატურად, სეზონის შესაბამისად ჩაცმული.

5. მსხვერპლისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური ინდიკატორები

- სავარაუდო მსხვერპლი თავს გრძნობს მარტოდ, სოციუმისგან გარიყულად;
- იკავებს ემოციებს და ცდილობს არ გამოამჟღავნოს მისი მდგომარეობა;
- სავარაუდო მსხვერპლს სახეზე აღინიშნება შიში, მღელვარება ან დაძაბულობა;
- სავარაუდო მსხვერპლს აქვს სამართალდამცავი ორგანოების მიმართ შიში ან თავს არიდებს თვალისმიერ კონტაქტს.

6. მსხვერპლისათვის დამახასიათებელი სოციალური ინდიკატორები

- საუბრისას ცვლის მონაყოლის შინაარსს, ორჭოფობს, ამცირებს პასუხების ხანგრძლივობას ან თავს იძვრენს სიტუაციისგან;
- დაკითხვის დროს ახდენს წინასწარ მოფიქრებული ფაქტების კონსტატაციას;
- არ ფლობს ენას, არ იცის სად მიდის ან ვისთან (ტელეფონი/მისამართი);
- არ გააჩნია სამუშაო კონტრაქტი ადგილისა და სამუშაოს ტიპის მითითებით ან ვერ წარადგენს დასაქმების დამადასტურებელ რაიმე სხვა დოკუმენტს;
- არ აქვს ინფორმაცია მგზავრობის საბოლოო დანიშნულების ადგილის შესახებ;
- არ იცნობს იმ ადამიანს, ვისთან ერთადაც მგზავრობს ან ვისთანაც მიდის.

7. არასრულწლოვან მსხვერპლთა გამოვლენის ინდიკატორები

არასრულწლოვნების შემთხვევაში, დამატებით ყურადღება უნდა მიექცეს, ასევე, შემდეგ ინდიკატორებს:

- გადაადგილდება მარტო ან უცხო პირ(ებ)თან ერთად, ნათესავის ან ახლობლის გარეშე;
- ბავშვის თანმხლები სრულწლოვანი პირი ვერ წარადგენს მისი საზღვარზე გაყვანის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს/დოკუმენტებს;
- ერთი და იმავე ეროვნების/მოქალაქეობის მქონე ბავშვების ჯგუფი გადაადგილდება ზრდასრულ პირთან/პირებთან ერთად;

- ბავშვის ტანისამოსი გაცვეთილია ან აცვია შეუსაბამო ზომის ტანისამოსი;
- აქვს შიში იმისა, რომ თუ რაიმე ინფორმაციას იტყვის, დაისჯება;
- აქვს თანმხლები პირის შიში;
- არ გამოხატავს ნდობას იმ პირის/პირების მიმართ, ვინც თავს ასაღებს/ასაღებენ ბავშვის მშობლად/მშობლებად ან კანონიერ წარმომადგენლ(ებ)ად;
- ბავშვის ან მისი თანმხლები პირის ასაკი არ შეესაბამება საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში მითითებულ ასაკს;
- სავარაუდოდ იმყოფება ნარკოტიკული ან სხვა გამაბრუებელი ნივთიერების/საშუალების ზემოქმედების ქვეშ.

შენიშვნა: *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ნიშნების ამოსაცნობად არ არის აუცილებელი ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების ერთობლივი არსებობა. ერთ-ერთის არსებობა არის უკვე ეჭვის საფუძველი, რომ პირი შესაძლოა, არის/იქნება ტრეფიკინგის მსხვერპლი.*

ამასთან, აღნიშნული ინდიკატორები არ არის ამომწურავი და შესაძლოა, სხვა გარემოებები მიუთითებდეს პირის მიმართ ტრეფიკინგის განხორციელების ფაქტზე.

8. პირველადი გამოკითხვის დროს მიზანშეწონილია დადგინდეს:

- თუ პირი არ არის საქართველოს მოქალაქე, საქართველოში ჩამოსვლის/ყოფნის მიზანი/მიზეზი, ხანგრძლივობა და დროებითი საცხოვრებლის მისამართი;
- თუ ჩამოსულია სამუშაოს დაწყების მიზნით, აქვს თუ არა დადებული შრომითი ხელშეკრულება, ასევე, უნდა დადგინდეს დამსაქმებლის ვინაობა და მისამართი;
- თუ არასრულწლოვანი იმყოფება თანმხლებ პირთან ერთად, ბავშვსა და თანმხლებ პირს შორის კავშირი;
- თუ პირი/პირები გადაადგილდებიან ჯგუფთან ერთად და ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენელს აქვს დანარჩენი წევრების სამგზავრო დოკუმენტები, უნდა დადგინდეს ჯგუფის წევრების დოკუმენტაციის ერთ პირთან თავმოყრის მიზეზი;
- ინდიკატორების შესაბამისად სავარაუდო მსხვერპლის მდგომარეობა.

შენიშვნა: *საზღვარზე მომუშავე პერსონალის მიერ ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა გამოვლენის მიზნით, მნიშვნელოვანია გამოსაკითხ პირთა მიმართ სწორი დამოკიდებულების შერჩევა. გამოკითხვა უნდა მიმდინარეობდეს ინდივიდუალურად, მშვიდ გარემოში და არ უნდა გამოიწვიოს სავარაუდო მსხვერპლისათვის დამატებითი სტრესი. მათ უნდა განემარტოთ, რომ მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში ისინი დაცულები იქნებიან და გათავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და ყალბი*

დოკუმენტების, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადების, გასაღების ან გამოყენებისთვის. ასევე უნდა მოხდეს ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა ინფორმირება იმის შესახებ, რომ ზემოთ აღნიშნული სტატუსის მქონე პირები გათავისუფლდებიან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან პროსტიტუციისა და საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისთვის დადგენილი წესის დარღვევით საქართველოში ცხოვრებისთვის.

9. პირის მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის შესახებ ეჭვის წარმოშობის ან მსხვერპლის მიერ თვითიდენტიფიცირების შემთხვევაში განსახორციელებელი ქმედებები

საქართველოს კანონმდებლობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან დაკავშირებით იცნობს ორ სტატუსს: ტრეფიკინგის მსხვერპლს და დაზარალებულს.

პირს ტრეფიკინგის დაზარალებულის სტატუსს ანიჭებს პროკურორი დადგენილების საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ხოლო მსხვერპლის სტატუსი პირს ენიჭება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში მოქმედი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ, რომელშიც წარმოდგენილნი არიან ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები.

მიუხედავად სტატუსის სხვაობისა, ტრეფიკინგის მსხვერპლი და დაზარალებული სარგებლობს ერთი და იმავე უფლებებით.

პირის მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის შესახებ ეჭვის წარმოშობის ან მსხვერპლის მიერ თვითიდენტიფიცირების შემთხვევაში შესაბამისი პროცედურის დაცვით უნდა მოხდეს დაკავშირება:

- სრულწლოვანი პირის შემთხვევაში, თუ მას სურს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოსთან.

- სრულწლოვანი პირის შემთხვევაში, თუ მას არ სურს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან.

- კანონიერ წარმომადგენელთან ერთად მყოფი არასრულწლოვანი სავარაუდო მსხვერპლის შემთხვევაში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური

პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოსთან.

- კანონიერი წარმომადგენლის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი სავარაუდო მსხვერპლის შემთხვევაში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოსთან და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ცხელი ხაზი - 2 411 714.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცხელი ხაზი - 116 006.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი - 15 05.